ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2016 წლის 26 აგვისტო

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №21 დადგენილებაში ,,ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №21 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" (www.matsne.gov.ge, 21/07/2014; 010260030.35.144.016154) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ვ) გამგეობის დებულების შესაბამისად ახდენს გამგეობის თანამდებობის პირებისთვის უფლებამოსილებების დელეგირებას, გარდა ამ პუნქტის „ა.ა"–„ა.გ", „ბ.ა"–„ბ.გ", „დ.კ", „ე.ვ" და „ე.ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებებისა, აგრეთვე იმ უფლებამოსილებებისა, რომლებიც ამ კანონის შესაბამისად საკრებულოს მიერ დამტკიცებას ან თანხმობის მიცემას საჭიროებს; ახდენს გამგეობის თანამდებობის პირებისთვის ან სხვა მოხელეებისთვის უფლებამოსილების დელეგირებას კანონით/უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში;";

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების 37-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,გ" ქვეპუნქტი;

„გ) გამგეობის მოხელე ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილია გამოსცეს – ბრძანება.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე არდემანაშვილი**